

სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ღამის თავართეჭილამის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს			<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის წორმების ცოდნა	18	20	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	
წერის უნარი	16	20	
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წევრთნა	4	5	
პროფესიული აქტივობა	3	5	
ქულათა ჯამი	87	100	

გოგა კიკილაშვილი



14 / 04 / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საჩუქოს არამოსამართლე წევრი



**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
არამოსამართლე წევრი
გოგა კიკილაშვილი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №163 განკარგულებით) განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მომაწილე კანდიდატის

**ლაშა თავართქილაძის
შეფასება**

1. პროცედურის შესახებ:

- 1.1. „საბჭო“ 2024 წლის 30 დეკემბრის №1/161 (ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის №163 განკარგულებით) განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- 1.2. „საბჭო“ 2025 წლის 05 თებერვლის №1/14 განკარგულებით, მიუთითებულ პროცედურაში კანდიდატია დარეგისტრირდა **ლაშა თავართქილაძე** (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭო“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავიცანი დეტალურად.
- 1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2025 წლის 06 მარტს, ჩემი მოხაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭო“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

- 2.1.1. „კანდიდატი“ 44 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 23 წელია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 11 წელია.

- ✓ 2002-2006 წლებში იყო ქობულეთის რაიონის სანოტარო ბიუროს კონსულტანტი;
- ✓ 2007 წელს იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მთავარი სპეციალისტი;

- ✓ 2007-2012 წლებში იყო თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამემწე;
- ✓ 2012-2013 წლებში იყო იუსტიციის უძალესი სკოლის მსმენელი;
- ✓ 2013 2014 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს კონსულტანტი.
- ✓ 2014 წლის 27 მაისიდან განწესდა მოსამართლედ და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა;
- ✓ 2014-2017 წლებში - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქომულების მუნიციპალიტეტში;
- ✓ 2018-2019 წლებში - თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;
- ✓ 2019-2022 წლებში - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში;
- ✓ 2022 წლიდან დღემდე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ ჩარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კუთილისნდისიერებასა და კომპიტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კომუნიკატურულობას, პრინციპულობას, მრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, კომპეტენტურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდაჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატის“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვთ მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. „კანდიდატის“ საკუთრებად უძრავი ქონება არ არის რეგისტრირებული. უძრავი ქონების რესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ რაიმე სახის პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. „კანდიდატი“ მხარედ მონაწილეობდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეში, კერძოდ: მისი საჩივარი განხილულ იქნა და დააკმაყოფილა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებით (მოწინააღმდეგე მხარე: საპატრულო პოლიცია).

„კანდიდატი“ ცნობილი იყო დაზარალებულად სისხლის სამართლის საქმეში.

„კანდიდატის“ მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში კანდიდატის შესახებ მიღებულია შემდეგი სტატიისტიკური ინფორმაცია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 84,3%, ვადის დარღვევით - 15,7%;
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 68,2%, ვადის დარღვევით - 31,8%;

- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 88,1% შეცვლილი - 11,9%;
- საანგარიშო პერიოდში (978 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 575 საქმე, დღეში სამუალოდ 0,6 საქმე.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ 4 სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება რომელთა შესწავლით ირკვევა, რომ გადაწყვეტილებებში არ არის გამოყენებული სამეცნიერო წყაროები, არგუმენტაციის გასამყარებლად უპირატესად მოშენებულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკა. ვისურვებდი ამ კომპონენტის შევსებასაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ მოქმედი მაღალი სტანდარტის შესაბამისად, ისეთი ფორმით და მოცულობით, რომ არ გადაიტვირთოს სასამართლო გადაწყვეტილება დიდი და რთული ტექსტებით და არ შეიქმნას მხარეების მიერ გადაწყვეტილების შინაარსის აღქმის პრობლემა.

2.1.8. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში, მაგ.:

- 2022 წლის 11-12 ნოემბერი, ქ. ბორჯომი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU), ევროკავშირის საერთო სასამართლოს (GCEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს (EUIPO BOA) გადაწყვეტილების საფუძვლზე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შედგინილი კრებულის პრეზენტაცია;
- 2022 წლის 1 და 3 დეკემბერი, თბილისი, „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის კრაქტიკოსთა ასოციაციის“ (BRIPA) მიერ გადახდისუნარობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ახალი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 2023 წლის 11-12 თებერვალი, ყვარელი, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით ერთობლივად გამართული სამუშაო შეხვედრა - „მექანიზმების შესახებ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით“;
- 2023 წლის 14-16 ივლისი, კახეთი, საქართველოს საგაჭრო სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის“ (GIAC) ორგანიზებითა და ამშ-ის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები“;
- 2024 წლის 30 ნოემბერი - 01 დეკემბერი, თბილისი, გაეროს დოკოლუმილთა სააგენტოს (UNHCR) ტრენინგი - „ლტოლუმილთა სამართალი“.

2.1.9. „კანდიდატს“ 2007 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. მას ასევე ჩაბარებული აქვს: პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა (2003 წელს) და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა (2006 წელს).

2.1.10. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის „საბჭოს“ წევრებმა დაუსცეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. „კანდიდატმა“ პასუხის ჩამოყალიბების დროს მოიშველია ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა, უმეტესად კონკრეტულ საქმეებზე მითითების გარეშე.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

ე) ფინანსური ვალდებულება - მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლების კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმუცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოხამოთვლით მოთხოვნებს, თუ შემფასებლის წინაშე არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმუციის გაქარწყლებისათვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.2.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლით - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“ შეფასების დროს კანდიდატის მიმართ მოქმედებს პრეზუმუცია, რომ ვიდრე სათანადო და სანდო მონაცემთა ერთობლიობით არ დადასტურდება საწინააღმდეგო, კანდიდატი აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

„კანონის“ 35¹ მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრება ზემოხსენებული კრიტერიუმის კომპონენტებით: „კანდიდატის“, როგორც მოსამართლის და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, აგრეთვე, სიმართლისმოყვარეობა.

მომიღებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგების შეფასების შედეგად არ იკვეთება გარუმოება, ან/და ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმუციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ კომპონენტს, შესაბამისად, მიმართ, რომ

¹ იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

იგი აკმაყოფილებს „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

3.2.2. მოძიებული ინფორმაციის შესწავლის და მოსმენის შედეგად შემქმნა შთაბეჭდილება, რომ „კანდიდატი“ არის დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, აკლენს ზეგავლენის მიმართ შედეგობას და პიროვნული სიმტკიცეს.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული² „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

3.2.3. „კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე 6 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატს“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

3.2.5. „კანდიდატის“ შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთარებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნავისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფურთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

3.2.6. ვინაიდან მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 კი მახასიათებელს აკმაყოფილებს, გავაკეთე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

² კომპონენტები განისაზღვრება იმავე მუხლის მე-5 პუნქტით.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მივედი შემდგომად დასკვნამდე:

4.1.1. „კანონის“³ მუხლის მე-3 პუნქტის „„კვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლის ნორმების ცოდნა““ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“³ მუხლის მე-17 პუნქტის „„კვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.“

ამ შეფასების ზემოთ, 2.2.2 პუნქტში აღწერილი შეცდომების/ ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა უკროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საკმაოდ კარგი ცოდნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტში „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.2. „კანონის“³ მუხლის მე-3 პუნქტის „„კვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლუმრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია““ მაქსიმალური შეფასება „კანონის“³ მუხლის მე-17 პუნქტის „„კვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.“

„კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური ასროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია, თუმცა, გასათვალისწინებელია 2.1.7 პუნქტში აღწერილი ხარვეზი.

„სამართლუმრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.3. „კანონის“³ მუხლის მე-3 პუნქტის „„დ“ კვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „წერის უნარი“⁵ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“³ მუხლის მე-17 პუნქტის „„გ“ კვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.“

„კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, გასათვალისწინებელია შეფასების 2.1.7 პუნქტში აღწერილი გარემოებები აღნიშნულიდან გამომდინარე, „კანდიდატს“ „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით ვაფასებ 16 ქულით.

4.1.4. „კანონის“³ მუხლის მე-3 პუნქტის „„ე“ კვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“⁶ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“³ მუხლის მე-17 პუნქტის „„დ“ კვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.“

„კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობას ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

³ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

⁴ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

⁵ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

⁶ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

„შეპირიკომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.5. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტიკული „პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქვეა სასამართლო დარბაზში)“ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანაბმად ფასდება არაუმჯობეს 15 ქულით.

„კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოღვინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით; საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით; მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუბმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე; აქვს სტრუქტულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული, თუმცა გამოიკვეთა საპროცესო ვადების დარღვევის გარეული შემთხვევები (იხ. 2.1.6. პუნქტი).

„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქვეა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტიკული „კადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანაბმად ფასდება არაუმჯობეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს; ამდენად, მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შემქნაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

„კადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 4 ქულით.

4.1.7. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტიკული „პროფესიული აქტივობა“ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანაბმად ფასდება არაუმჯობეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებშია და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (მეცნიერებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აყენებს კარგ იდეებს/შეინადადებებს, თუმცა არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 3 ქულით.

4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 87 ქულით.

გოგა კიკილაშვილი

14 / 04 / 2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

⁷ კრიტიკული კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.